ოქმი №6

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მეექვსე რიგგარეშე სხდომის

29 აპრილი 2021 წელი.

სხდომაზე საკრებულოს 36 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 20-მა (ოცი) წევრმა. (სია თან ერთვის).

ესწრებოდა: თ. წიწილაშვილი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი.

ზ. სირდაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

სხდომა დაიწყო 30 წუთის დაგვიანებით.

სხდომა გახსნა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ _ ვახტანგ ღამბაშიძემ.

მან სხდომას გააცნო დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი.

პირველი - 2021 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტში დასახლებების მიხედვით განსახორციელებელი პროექტების დამტკიცებისა და გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ.

მეორე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა, დღის წესრიგის დასამტკიცებლად.

დამსწრე ყველა დეპუტატის მხარდაჭერით დამტკიცდა დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

1. 2021 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტში დასახლებების მიხედვით განსახორციელებელი პროექტების დამტკიცებისა და გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ.

(მომხსენებელი თ. წიწილაშვილი - მერიის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი)

მომხსენებელმა თ. წიწილაშვილმა (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი) საკრებულოს წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 29 აპრილის N22-222111956 (შემ. N12-23211191-23; 29.04.21) მომართვა და ,,2021 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტში დასახლებების მიხედვით განსახორციელებელი პროექტების დამტკიცებისა და გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ“ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე გამოთქმული იქნა შენიშვნები, რომელიც გათვალისწინებული იქნა და წარმოდგენილი იქნა განკარგულების პროექტის შესწორებული საბოლოო ვარიანტი. კერძოდ, ცვლილება განიცადა ფუთის ადმინისტრაციულ ერთეულში განსახორციელებელმა პროექტებმა.

ჯ. გორგოძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი) აღნიშნა, რომ მიუხედავად არაერთგზის თხოვნისა სოფელი ვაჭევი არ იქნა გათვალისწინებული სოფლის მხარდაჭერის პროექტებში, რაც გარკვეულ უხერხულობას ქმნის და საჭიროა აღნიშნული საკითხი გაირკვეს.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

მომხრე: 18

წინააღმდეგი: 2.

საკრებულოს წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერით მიღებული იქნა განკარგულება.

(თან ერთვის).

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

2. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

(მომხსენებელი ზ. სირდაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი)

მომხსენებელმა ზ. სირდაძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი) საკრებულოს წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 23 აპრილის N22-222111319 (შემ. N12-23211131-23; 23.04.21) მომართვა, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

მომხრე: 20.

წინააღმდეგი: 0.

დამსწრე ყველა დეპუტატის მხარდაჭერით საკრებულომ გადაწყვიტა:

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 121-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისებაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულებას იღებს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით“. ვინაიდან აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილებას ესაჭიროება 24 დეპუტატის თანხმობა, (მხარი დაუჭირა 20-მა დეპუტატმა) ამდენად საკითხი არ იქნა მიღებული.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ვახტანგ ღამბაშიძე

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2021 წლის 29 აპრილის რიგგარეშე სხდომაზე
დამსწრე დეპუტატთა
ს ი ა

1. ვახტანგ ღამბაშიძე
2. ტარიელ ხუსკივაძე
3. ბადრი წაქაძე
4. გოჩა გაბრიჭიძე
5. მაია ჩხეიძე
6. ნუგზარ ფერაძე
7. გალაქტიონ ვარდოსანიძე
8. ილია ფუტკარაძე
9. დავით ფერაძე
10. შალვა ხეცაძე
11. უჩა ჩუბინიძე
12. რობერტ მახათაძე
13. ჯემალ გორგოძე
14. კობა ტუკვაძე
15. მამუკა კურტანიძე
16. ლაშა საყვარელიძე
17. აკაკი გაჩეჩილაძე
18. ირმა გიორგაძე
19. დავით მიქაბერიძე
20. გიგა გაბრიჭიძე

აპარატის უფროსი დავით ბარბაქაძე

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2021 წლის 29 აპრილის რიგგარეშე სხდომის

სარჩევი

1. 2021 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტში დასახლებების მიხედვით განსახორციელებელი პროექტების დამტკიცებისა და გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ.

2. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

აპარატის უფროსი **დავით ბარბაქაძე**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2021 წლის 29 აპრილის რიგგარეშე სხდომის
დღის წესრიგი

დასაწ: 12.00 სთ.

1. 2021 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტში დასახლებების მიხედვით განსახორციელებელი პროექტების დამტკიცებისა და გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ.

(მომხსენებელი თ. წიწილაშვილი - მერიის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი)

2. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

(მომხსენებელი ზ. სირდაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი)

აპარატის უფროსი **დავით ბარბაქაძე**